დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურები საქართველოში: პრაქტიკა და გამოწვევები
2012 წ. 18 დეკემბერს გამართული საჯარო დისკუსიის შედეგები

2012 წ. 18 დეკემბერს სასტუმროში „ვერე პალასი“ ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ინიციატივით გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე „დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურები საქართველოში: პრაქტიკა და გამოწვევები“. დისკუსიის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილ დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) პროექტებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო, საერთაშორისო და საკონსულტაციო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები.

<u>პრობლემის არსი</u>

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობასა და ქართულ თუ უცხოურ კომპანიებს შორის დაიდო 40-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი ან/და შეთანხმება მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის თაობაზე. ზოგიერთი ჰესის მშენებლობა უკვე დაწყებულია, უმეტესობა კი, დაგეგმვის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება. ჰესების დიდი ნაწილი დერივაციული ტიპისაა[1]. დერივაციული ჰესები, კაშხლიან ჰესებთან შედარებით ნაკლები მასშტაბის გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს შეიცავენ; თუმცა, დაგეგმილი დერივაციული ჰესების რაოდენობიდან, გეოგრაფიიდან (განლაგებიდან) და რაც მთავარია, პროექტების დიზაინიდან გამომდინარე, შესაძლოა ისინი არანაკლებ საშიში/დესტრუქციული აღმოჩნდნენ, ვიდრე დიდი, კაშხლიანი ჰესები. საქმე ისაა, რომ ყველა დერივაციული ჰესის პროექტის დიზაინისას გამოიყენება შემდეგი მიდგომა: მდინარის მნიშვნელოვან ნაწილზე ბუნებრივ კალაპოტში რჩება მდინარის (95%-იანი უზრუნველყოფის პირობებში[2]) საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10%-ი, ხოლო დანარჩენი წყალი დერივაციული მილების, არხებისა და გვირაბების მეშვეობით, კილომეტრობით მანძილზე გადაისროლება ტურბინებისკენ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. როგორც წესი, ჰესების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშებში აღიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელი პრაქტიკის მიხედვით, მდინარის „სანიტარული ხარჯი” განისაზღვრება მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ით. ზოგჯერ ასევე აღნიშნავენ, რომ “სანიტარული ხარჯის” ასეთი წესი შეესაბამება ევროპაში მიღებულ ნორმებს. გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია ინვესტორების მიერ მომზადებული გზშ ანგარიშების ხარისხის შემოწმებასა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (სანებართვო დოკუმენტის) გაცემაზე, როგორც წესი, ეთანხმება ამგვარ პოსტულატებს და დადებით დასკვნებს გასცემს.

ხშირად მიიღება გადაწყვეტილება ჰესების მშენებლობაზე ხელუხლებელ ეკოსისტემებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პროექტების უარყოფით ზეგავლენას ბიომრავალფეროვნებაზე. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ჰესები იგეგმება არსებულ და დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებზე (ან მათ უშუალო სიახლოვეს), რომლებიც იქმნება უნიკალური ბუნების პირველადი სახით კონსერვაციის მიზნით (ხდის ხეობა, თერგის ხეობა, მაჭახელას ხეობა, ფარავნის ხეობა, კინტრიშის ხეობა და სხვ.).

ყურადსაღებია, ასევე, ჰესების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ შეთანხმებების დადების ბოლო წლებში გამოყენებული პრაქტიკა - როგორც წესი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დაწყებამდე და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ინვესტორი კომპანია და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (საქართველოს მთავრობის სახელით) დებენ ხელშეკრულებას ან მემორანდუმს, სადაც უკვე განსაზღვრულია ასაშენებელი ჰესის პარამეტრები, მშენებლობის დაწყებისა და დასრულების თარიღები. ეს გარემოება, პრაქტიკულად, აზრს უკარგავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესს და სპობს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების განხილვის შესაძლებლობებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში არ ხდება ენერგეტიკის სექტორის გრძელვადიანი დაგეგმვა, არ არის შემუშავებული ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა და სტრატეგია. 2001 წლის შემდეგ სახელმწიფოს არ შეუდგენია ენერგეტიკული ბალანსი; გავრცელებული მოსაზრება ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების ზრდის

---

[1] დერივაციული ჰესი - ჰესის ტიპი, რომელიც ფუნქციონირებს მცირე კაშხალით ან მის გარეშე. მდინარის ბუნებრივ ჩამონადენის ნაწილი მილის ან არხის მეშვეობით მიეწოდება ტურბინებს ელექტროენერგიის საწარმოებლად.

[2] იგულისხმება წელიწადის 95%, ანუ 347 დღე

ტენდენციის შესახებ, მეტად საეჭვოა და არ დასტურდება ესკო[3]-ს ოფიციალური მონაცემებით. ყოველივე აღნიშნული ხელს უშლის ენერგეტიკის სფეროში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

დისკუსიისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა პერიოდში აშენებული არცერთი დერივაციული ჰესის მშენებლობის დროს არ ყოფილა გამოყენებული ე.წ. 10%-იანი ლიმიტი; ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ლიმიტები არ არსებობს არც ევროპის ქვეყნებში და არც აშშ-ში. საქართველოში ამგვარი პრაქტიკის დამკვირდება მხოლოდ 2011 წლიდან დაიწყო. ამ შემთხვევაშიც, ადგილი აქვს ე.წ. „ტენანტის მეთოდის" (იგივე „მონტანას მეთოდი")[4] არასწორ ინტერპრეტაციას. შეფასების ამ მეთოდის თანახმად, მდინარეში წყლის 10%-ის დატოვების შემთხვევაში, თევზის ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება „ცუდი ან მინიმალური". ამდენად, ბოლო პერიოდში საქართველოში მომზადებული გზშ ანგარიშებში მოცემული მტკიცება, თითქოს, ინვესტორი კომპანიები მისდევენ საყოველთაოდ მიღებულ ან/და საქართველოში არსებულ პრაქტიკას, არ შეესამება სინამდვილეს. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს გზშ ანგარიშებში მოცემული მტკიცება, თითქოს, ასეთი საპროექტო გადაწყვეტის შემთხვევაში, გაზემოზე ზეგავლენა იქნება „მინიმალური" და „უმნიშვნელო".

2. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში არ წარმოებს მდინარეების ჰიდროლოგიური მონიტორინგი. ჰესების დაგეგმვისთვის, სხვა ინფორმაციასთან ერთად, აუცილებელია მდინარეების წყლისა და მყარი ნატანის ხარჯის ცვლილების მრავალწლიური დაკვირების მონაცემები; ასეთი მონაცემები კი, ან არ არსებობს, ან გათვლები 25-30 წლის წინანდელია. შესაბამისად, არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია, რა რაოდენობის წყლის აღება იქნებოდა ოპტიმალური გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ინვესტორსა და სახელწიფოს შორის გაფორმებულ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში გარემოს პირობების კვლევის დაწყებამდე განისაზღვრება ჰესების სიმძლავრე და სხვა პარამეტრები.

3. საქართველოში არასოდეს ჩატარებულა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, რათა დადგენილიყო, მოქმედი ჰესების ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, ჰაბიტატის დეგრადაციის და ფრაგმენტაციის თვალსაზრისით.

4. მდინარეებზე რეგულარული მონიტორინგის წარმოება უმნიშვნელოვანესი საკითხია. ეს ეხება არა მხოლოდ მდინარეში არსებული წყლის ოდენობის განსაზღვრას, არამედ მდინარის ქვედა ბიეფში არსებული ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგს. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს წყალაღების მაქსიმალურ დასაშვებ ოდენობას; დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს ასევე, რომ ეს საკითხი არ რეგულირდებოდა არც საბჭოთა კანონმდებლობით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი როგორც გარემოს ფონური მდგომარეობის მონიტორინგის, ისე ენერგო-პროექტების ფარგლებში გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის მეთოდიკა. აუცილებელია ეს ორი საკითხი განისაზღვროს ნორმატიული აქტით და მომზადდეს შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციები (guidelines).

5. ახლო მომავალში საჭირო გახდება დამატებითი ელექტროენერგეტიკული სიმძლავრეები. მდინარეების შესახებ ახალი ჰიდროლოგიური მონაცემების მისაღებად აუცილებელია გრძელვადიანი (მინიმუმ 10-წლიანი) მონიტორინგი (მაგ., ოპტიმალური „ეკოლოგიური ხარჯის" განსაზღვრისათვის და ა.შ.). ასეთი პერიოდით ყველა ენერგეტიკული პროექტის შეჩერება არარეალისტურია. ამასთანავე, მონაცემების არარსებობის გამო, გარემოსდაცვითი საკითხების გაუთვალისწინებლობის ფონზე, დაგეგმილი ჰესების მშენებლობამ შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისებს, რაც საბოლოო ჯამში, ეკონომიკურად წამგებიანი აღმოჩნდება ქვეყნისათვის. შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან ოპტიმალური გამოსავალი იქნებოდა ე.წ. „ხელუხლებელი ზონების" („no go zones") დაწესება. ეს გულისხმობს ბიომრავალფეროვნებითა და მრავალფეროვანი ეკოსისტემური სერვისებით გამორჩეული მდინარეების ხეობებში ყველანაირი ტიპის ჰესის

---

[3] ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი http://www.esco.ge

[4] ტენანტის მეთოდი (1975 წ.) არის გამოსაყენებლად მარტივი და იაფი ჰიდროლოგიური შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გარკვეული (დადგენილი და შესწავლილი) ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური პარამეტრების/ მონაცემების არსებობისას, შეიძლება კარგად იქნეს გამოყენებული მდინარის ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების დასაშვები ფარგლების განსაზღვრისა და ამ ფარგლებში თევზების ჰაბიტატების მდგომარეობის შესაფასებლად (გარკვეულ რეგიონებში). ტენანტის მეთოდი (ტენანტის ცხრილი) ასახავს კორელაციას სხვადასხვა ოდენობის წყლის სანიტარულ ხარჯსა და თევზების ჰაბიტატების მდგომარეობას შორის.

მშენებლობაზე მორატორიუმის გამოცხადებას, იმ დრომდე, სანამ არ შეგროვდება საკმარისი სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას, ბუნებრივი და სოციალური ვითარების გაუარესების გარეშე, განახორციელოს კონკრეტული პროექტები. დამატებით უნდა განისაზღვროს ამ „ხელუხლებელი ზონების“ შერჩევის კრიტერიუმები.

6. აუცილებელია, დაუყოვნებლივ შეიცვალოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების მომზადების და განხორციელების თანამიმდევრობა. გარემოზე ზეგავლენის შესაფასებელი კვლევების დასრულებამდე და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის არ უნდა დაიდოს ისეთი მემორანდუმები/ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრული იქნება პროექტის ძირითადი პარამეტრები, მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების ზუსტი თარიღები.